საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, სამედიცინო კლინიკის შენობის პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №93, (ნაკვეთის ს/კ 01.18.09.006.018).
დამკვეთი:
პროექტის შემსრულებელი **შპს „ზუმა“** ს/კ 405265911.
დირექტორი – მ. კვესელავა.
პროექტის მთავარი არქიტექტორი – ზ. ლოლაშვილი.
ექსპერტი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (ბრძანების ნომერი №4115384, 23.08.2018). პროექტის მიზანია საავადმყოფოს დაგეგმარება, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

არსებული მიწის ნაკვეთი მდებარებობს ქ. თბილისში, გორგასალის ქ. №93, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.18.09.006.018, ხოლო ფართობი შეადგენს 10551.0 კვ.მ-ს ნაკვეთი განეკუთვნება სპეციალურ ზონა 1-ს (სპეც ზონა-1). ნაკვეთი მრავალკუთხა ფორმისაა, მას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ვახტანგ გორგასალის ქუჩა, ხოლო სამხრეთიდან შიდა კვარტალური გზა.

პროექტის კონცეფცია. იდეა

პროექტის კონცეფცია და მისი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა განაპირობა მისმა ფუნქციამ და გარემომ, რომელიც გადაწყვეტილია თანამედროვე საავადმყოფოს სტილში, სადაც მოსაპირკეთებელ მასალებად გამოყენებულია ბუნებრივი ქვა, კერამიკული ყინვაგამძლე ფილები, ტრავერტინის ქვის ფილები, „აბატ ლამინატი“ შავ ლითონის მოაჯირებში ჩასმული მინის აივნები და სხვა არქიტექტურული ელემენტები.

პროექტის შინაარსობრივი და აღწერა:

კორექტირებული საპროექტო შენობა შეთანხმებული ვარიანტისგან შედარებით სიგრძეში გაიზარდა ორი მალით, ხოლო სიმაღლეში მოაკლდა ორი სართული, რითაც ბევრად მარტივდება შენობის შემდგომი ექსპლოატაცია და აგრეთვე, 41-ე დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტი – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, 57-ე და 14-39 დადგენილებები. კორექტირებული საპროექტო შენობის გაბარიტების ზრდა მოხდა სამხრეთის მიმართულებით, ისე რომ არ შეცვლილა მისი დაცილების მანძილები მწვანე ნარგავებთან მიმართებაში ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხრიდან, ამიტომ დენდროლოგიური პროექტი ცვლილებას არ საჭიროებს, აგრეთვე არ საჭიროებს ცვლილებას საგზაო მოძრაობის სატრანსპორტო სქემა.
საპროექტო შენობის გაბარიტებია 46.6x18.0 მ. შენობა მიწის დონის ზემოთ 6-სართულიანია: სარდაფის სართულში განთავსებულია რადიოლოგიური განყოფილება. პირველ სართულზე მიმღები, ხოლო II–V სართულებზე სხვადასხვა დანიშნულების განყოფილებებია დაგეგმარებული. შენობის VI სართულზე ადმინისტრაციული ნაწილია

ჩაფიქრებული. საპროექტო კორექტირებულ შენობას გააჩნია ვერტიკალური კომუნიკაციები ორი კიბისა და ორი ლიფტის სახით. ტერიტორიაზე განთავსებულია ავტოსადგომი.
შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით (დეტალური აღწერა ასახულია, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ცხრილში), ხოლო მათ მოწყობას და შემდგომ ზედამხედველობას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური და სახანძრო სისტემების სპეციალისტი.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის სტრუქტურა წარმოადგენს საძირკვლის ფილაზე დაფუძნებულ სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან და სართულშუა გადახურვის ფილებისგან. შენობის სტრუქტურული ჩარჩო აკმაყოფილებს 3-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

საავადმყოფოს შენობისა და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 24 მარტის №57 და 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებები;
შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი გამოყენებული წესები „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

1. მიწის ნაკვეთის ფართი: 10551 მ^2
2. განაშენიანების ფართი: 841.45 მ^2

საერთო ფართი: 4662.7 მ^2

მათ შორის:

პალატების ფართი: 1042.1 მ^2

სამედიცინო კაბინეტების ფართი: 1274.1 მ^2

საზაფხულო ფართი: 253.3 მ^2

კიბის უჯრედების, ლიფტებისა და ტამბურების ფართი: 634.3 მ^2

დერეფნები, ჰოლები და დამხმარე ფართები: 1485.9 მ^2

ტერიტორიაზე ავტოსადგომის ფართი: 641.52 მ^2

3. სამშენებლო მოცულობა: 18259.0 მ^3

მათ შორის: 0.00 ნიშნულის ზევით: 15718.2 მ^3

0.00 ნიშნულის ქვევით: 2540.8 მ^3

4. კონსტრუქციული სიმაღლე: 26.70 მ

მათ შორის: 0.00 ნიშნულის ზევით: 23.40 მ

0.00 ნიშნულის ქვევით: 3.30 მ

ძირითადი ნაწილი:

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საავადმყოფოს შენობის პროექტი ერთი მიწის დონის ქვედა და რვა მიწის დონის ზედა სართულით. პროექტში გამოყენებულია **თავშეყრის (თვ-3), საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-2), სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის

დაკავებულობები, რომელიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **303**, **304**, **308**, **311** და **312 ქვეთავებს.**

მიწის დონის ქვედა სართულზე (**-3.30** ნიშნ.) განთავსებულია: საქმიანი (სქ), სასაწყობო (სწ-1) და დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **399.1 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=39**. მათ შორის:

<u>რეცეფცია</u>, <u>რენდგენოლოგის</u> და <u>რადიოლოგის ოთახები</u>, <u>ტომოგრაფიის კაბინეტი</u>, <u>რენდგენო-მართვის</u> და <u>რადიოლოგიური განყოფილებები</u>, <u>კომპლექტაცია-დეზინფექცია-სტერილიზაციის ოთახები</u>, **304.1 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **260.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=32**;

<u>ინვენტარის საწყობები და საწყობი</u>, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **98.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=4**;

<u>ტექნიკური ოთახი, ნარჩენების ოთახი და სან-ოთახი (სანკვანძით)</u>, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **40.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=3**;

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნ.) განთავსებულია: საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-2) სასაწყობო (სწ-1) და დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **364.4 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=51**. მათ შორის:

<u>ფოიე, მიმღები და რეგისტრატურა (სანკვანძით), მორიგე ექიმების და პერსონალის ოთახები</u>, **304.1 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **89.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=26**;

შოკის დარბაზი, დაკვირვების დარბაზი, ბოქსირებული პალატა, საპროცედურო, **308.4 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **250.1 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=23**;

საკუჭნაო, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **7.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

სან-ოთახი (ნარჩენების ოთახით და სანკვანძით), **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **17.1 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

მეორე სართულზე (3.60 ნიშნული) განთავსებულია:
საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-2) და დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **450.8 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=50**. მათ შორის:

ფოიე (სანკვანძით), ხელმძღვანელის ოთახი, სამანიპულაციო, რეგისტრატურა, საორდინატორო, უფროსი მედდის ოთახი, პერსონალის ოთახი, **04.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **126.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=17**;

ლითოტრიფსიის საპროცედურო, მცირე საოპერაციო და პალატები, **308.4 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **311.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=32**;

სან-ოთახი (ნარჩენების ოთახით და სანკვანძით), **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **13.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

მესამე სართულზე (6.90 ნიშნული) განთავსებულია:

საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-2) და დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **475.3 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=52**. მათ შორის:

ჰოლი, ექიმის ოთახები, გადასხმის და ექთნის ოთახები, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **291.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=34**;

პალატები, **308.4 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **170.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=17**;

სან-ოთახი (ნარჩენების ოთახით და სანკვანძით), **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **13.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

მეოთხე სართულზე (10.20 ნიშნული) განთავსებულია:

საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-2) და დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **456.0 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=44**. მათ შორის:

საორდინატორო, უფროსი ექთნის და პერსონალის ოთახები, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **50.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=8**;

რეანიმაცია და პალატები, **308.4 ქვეთავის** შესაბამისად, მიეკუთვნება **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **352.1 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=33**;

დამხმარე სათავსო, სამეურნეო ოთახი და სან-ოთახი (ნარჩენების ოთახებით და სანკვანძებით), **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **53.5 მ²**,

დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=3**;

მეხუთე სართულზე (13.50 ნიშნული) განთავსებულია:

საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-2) და სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **479.5 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=52**. მათ შორის:

ოთხი საოპერაციო (მასთან დაკავშირებული ოთახებით), ქირურგების და მედდების ოთახები, პერსონალის სან-გამტარი, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **393.1 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=45**;

იზოლატორი, პოსტოპერაციული პალატა, სანიტარული ოთახი, **308.4 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დაწესებულებითი (დწ-2)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **63.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **11.2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=6**;

სტერილური მასალის საწყობი და მარაგის ოთახი, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **23.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

მეექვსე სართულზე (16.80 ნიშნული) განთავსებულია:

საქმიანი (სქ), თავშეყრის (თვ-3) და სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **320.0 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=135**. მათ შორის:

მოსაცდელი, დირექტორის კაბინეტი და საოფისე ოთახები, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **187.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=26**;

საკონფერენციო დარბაზი, **303.4 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **112.2 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=81**;

ორი საკუჭნაო, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **20.2 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების **ჯამი – 2945.1 მ^2.** დაკავებულობების დატვირთვის **ჯამური მაჩვენებელი – დდ=423.**

დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის – **503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის, **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე – განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - A ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **601 ცხრილის და 704.10 ქვეთავის** მიხედვით, საპროექტო შენობისთვის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილია **3 საათი**, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის კარკასი, რკინა-ბეტონის კოლონა **400x400 მმ; 400x800 მმ**).

არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ, **601 ცხრილში** მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე, **0-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხია მოთხოვნილი, ხოლო საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2-**საათს უდრის, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები, **601 ცხრილის** მიხედვით, მოთხოვნილია **2 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა).

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები, **601 ცხრილის** მიხედვით, მოთხოვნილია **1,5 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, ხოლო პროექტის მიხედვით წარმოდგენილია **2-საათიანი** (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), რაც აკმაყოფილებს აღნიშნული **ცხრილის** მოთხოვნას.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I- A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია შეუზღუდავი სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სიმაღლე – **16.8 მ**, სართული – **5** და ფართობი – **1147.2 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სიმაღლე – **23.4 მ**, სართული – **7** და ფართობი – **1399.1 მ²**;

თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **1**, სიმაღლე – **3.3 მ** და ფართობი – **112.2 მ²**;

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **4**, სიმაღლე – **13.5 მ** და ფართობი – **149.4 მ²**;

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული – **5**, სიმაღლე – **16.8 მ** და ფართობი – **137.2 მ²**;

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა **6**-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით **23.70 მ**, განაშენიანების ფართობით **841.45 მ²** და საერთო ფართობით **4662.7 მ²**.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე** **ცხრილის** მოთხოვნებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

როგორც აღინიშნა, საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა, ერთი მიწის დონის ქვედა და ექვსი მიწის დონის ზედა სართულით, ქანობიან რელიეფზეა განთავსებული. შენობის მეექვსე სართულზე მოწყობილია ტერასა.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები. შენობაში ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე და ორი ლიფტია მოწყობილი. ორივე გზა-კიბე და ერთი ლიფტი ემსახურება შენობის ყველა სართულს, ხოლო მეორე ლიფტი – მიწის დონის ქვედა სართულიდან მიწის დონის ზედა V სართულის ჩათვლით. შენობის ბოლო სართულიდან ერთი გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე (**20.10** ნიშნულზე), სადაც გათვალისწინებულია კიბის უჯრედის ამოსასვლელისა და ლიფტის სამანქანოს მოწყობა. შენობის ორივე შიგა გასასვლელის გზა-კიბე უკავშირდება ერთმანეთს დერეფნებით ყველა სართულზე.

მიწის დონის ქვედა სართულს (-3.30 ნიშნული) მოწყობილი აქვს ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **0.00** ნიშნულზე. შიგა გასასვლელის გზა-კიბეების გარდა, აქვს ერთი გასასვლელი გზა-კარი, **4–1** ღერძების მხრიდან, რომელიც **ამ სართულის** დამატებითი გასასვლელია შენობის ამ ნაწილში განთავსებული დაკავებულობებისთვის და გადის პირდაპირ შენობის გარეთ **-3.30** ნიშნულზე.

პირველ სართულს აქვს **2** გასასვლელის გზა-კარი, **1–8** და **8–1** ღერძების მხრიდან, **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქნებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწის დონესთან მისადგომს. გასასვლელებს შორის გამჭვნავი მანძილი **36.3** მეტრია, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (**49.2** მეტრის) **1/3**-ზე მეტია და აკმაყოფილებს **1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისი 2**-ის მოთხოვნას.

მეორე – მეექვსე სართულები (**3.60**, **6.90**, **10.20, 13.50, 16.80** ნიშნულებზე) წარმოდგენილია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბით. გზა-კიბეების შესასვლელები ერთმანეთისგან გამიჯნულია **30.8** მეტრით, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის **1/3**-ზე მეტია და აკმაყოფილებს **1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისი 2**-ის მოთხოვნას.

1015.1 ცხრილის მიხედვით, **მეექვსე სართულზე** (**16.80** ნიშნ.) განთავსებულ საკონფერენციო დარბაზს, დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, მოეთხოვება ორი გასასვლელის გზა-კარი, პროექტში გათვალისწინებულია მეორე საევაკუაციო გასასვლელის გზა-კარის მოწყობა, გასასვლელებს

შორის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (18.2 მ-ის)

1/3-ზე მეტი მანძილით (14.3 მ), **1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისი 2-**ის მოთხოვნის შესაბამისად.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, საშხეფი სისტემით, განსაზღვრულია:

დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **60** მეტრი;
თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის **75** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **90** მეტრი;
სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **75** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **120** მეტრი;

ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **42.8** მეტრი;
თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის **27** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **30.5** მეტრი;
სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **18** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **27.8** მეტრი.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო შენობას აქვს ორი შიგა და ერთი გარე გასასვლელის გზა-კიბე. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია

1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). გზა-კიბის მარშის მინიმალური სიგანე **1.35** მეტრია, რაც შეესაბამება **1009.4 ქვეთავში** მოთხოვნილს, სადაც გზა-კიბის მარშის თავისუფალი სიგანე არ უნდა იყოს **1.1 მ**-ზე ნაკლები. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30 სმ**-ია, შვეული სიბრტყისა კი– **15 სმ.** გზა-კიბეები აკმაყოფილებენ **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით. კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია ჰაერის დაწნევის სისტემა.

შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე **(82 სმ)** განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავით** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გასასვლელი გზა-კარის მინიმალური სიგანე **0.85** მეტრია, რაც შეესაბამება **1008.1.1 ქვეთავში** განსაზღვრულ გზა-კარის ზომას.

1023.2 ქვეთავის მოთხოვნით, დერეფნის სიგანე არ უნდა იყოს **1.2** მეტრზე ნაკლები, წარმოდგენილ პროექტში გასასვლელი დერეფნების მინიმალური სიგანე **1.25** მეტრია, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას. დერეფანში გათვალისწინებულია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემა.

სამედიცინო კლინიკის შენობაში მოწყობილია მე-**17 თავის** მიხედვით განსაზღვრული ლიფტები, რომლებიც ჩადის მიწის დონის ქვედა სართულზე.

<u>ლიფტის შახტის ზომებია</u>: 2.50 მ x 3.00 მ, 2.80 მ x 3.60 მ;
<u>კაბინის ზომები</u>: 1.80 მ x 2.70 მ, 2.40 მ x 2.90 მ.

კიბის უჯრედებში, ლიფტის შახტებში და ტამბურებში გათვალისწინებულია დაწნევის სისტემის მოწყობა.

შენობიდან გამოსასვლელები მდებარეობს მიწის დონის **-3.30** და **0.00** ნიშნულებზე უზრუნველყოფენ მიწის დონესთან მისადგომს.

<u>გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

6) მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1104.1 ქვეთავის** თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებიდან, მისაწვდომი ავტოსადგომიდან. მე-**11 თავის** მოთხოვნების შესაბამისად, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან. საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი **1 – 8** ღერძების მხრიდან, მისაწვდომია **შშმ** პირებისთვის.

პროექტში გათვალისწინებულია **მე-17 თავის** მიხედვით განსაზღვრული და მოწყობილი ლიფტები, რომელიც ყველა სართულზე უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირების მისაწვდომობას.

საპროექტო შენობას აქვს ღია ავტოსადგომი **36** ავტომობილზე, რომელთაგან **2** მისაწვდომი სივრცე გათვალისწინებულია **შშმ** პირებისთვის, **1106.1 ცხრილის** შესაბამისად.

საპროექტო შენობა მთლიანად ადაპტირებულია **შშმ** პირებზე.

<u>შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2 საათს** უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ (0 სთ) მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

705.8 ცხრილის შესაბამისად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით, <u>დაუცველი საშხეფებით</u>, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 – 8 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **10.05** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **24.3 %.**

ა – ზ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **24.52** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **9.1 %.**

8 – 1 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **84.52** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **14.8 %.**

ზ – ა ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **28.58** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **8.9 %.**

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა (**20.10** ნიშნულზე), ზედ მოწყობილი ლიფტის სამანქანო განყოფილებით და კიბის უჯრედის ამოსასვლელით. შენობა გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე. ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

1009.16 ქვეთავის („სახურავზე ასასვლელი გზა-კიბე“) მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო (VI) სართულიდან ერთი შიგა გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე, სადაც გათვალისწინებულია ლიფტის სამანქანოსა და კიბის უჯრედის ამოსასვლელის მოწყობა (**20.10** ნიშნულზე).

შენობის პარაპეტის მინიმალური სიმაღლე **80** სანტიმეტრია, მაქსიმალური 1.60 მეტრი, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება საყრდენი კედლის **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. პარაპეტი აგებულია **705.11.1 ქვეთავის** მოთხოვნების გათვალისწინებით.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა, რაც აკმაყოფილებს წესების **601 ცხრილის** მოთხოვნას.

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილია ხუთი შერეული დაკავებულობა: **სქ**, **დწ-2**, **თვ-3**, **სწ-1** და **დს**, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია, როგორც 2-საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით (**ცხრილი 508.4**), ისე 2-საათიანი თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, 2 საათი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია 2 საათი, რაც შეესაბამება **1009.3.1.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

1023.3 ქვეთავის მიხედვით, გასასვლელის გზა-დერეფნის შემომზღუდავი ცეცხლმედეგობის ხარისხი არ უნდა იყოს, 1 საათზე ნაკლები, ხოლო პროექტით წარმოდგენილია 2 საათი, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის კიბის უჯრედის, ლიფტის, ტამბურების და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2-საათიანია და შეესაბამება **707 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია 2-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო სამედიცინო კლინიკის შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903 ქვეთავის შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მთელ შენობაში.

904 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

905 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემები მოწყობილია კიბის უჯრედთან ყველა სართულის დერეფანში.

906.1 ქვეთავის მიხედვით, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

907 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.

908 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა საავარიო განგაშის სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა მთლიანად უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემებით.

საპროექტო შენობის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძრო სატუმბო სადგურისა და წყლის რეზერვუარის განთავსება.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიაზე შემოსასვლელის მხრიდან, სავალი გზის გასწვრივ, გათვალისწინებულია გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე დამონტაჟებული <u>სახანძრო ჰიდრანტის</u> მოწყობა.

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **1602.1 ცხრილის** მიხედვით, საპროექტო შენობის **დწ-2**, **სქ**, **თვ-3**, **სწ-1** და **დს** დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

მიწის დონის ქვედა სართულზე (**-3.30** ნიშნ.)

(**სქ**), (**სწ-1**) და (**დს**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=39):

- 3 უნიტაზი და 3 ხელსაბანი;

- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;

- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნ.)

(**დწ-2**), (**სქ**), (**სწ-1**) და (**დს**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=52):

- 6 უნიტაზი და 6 ხელსაბანი;

- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;

- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

მეორე სართულზე (**3.60** ნიშნ.)

(**დწ-2**), (**სქ**) და (**დს**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=50):

- 12 უნიტაზი და 12 ხელსაბანი;

- 10 შხაპი;

- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;

- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

მესამე სართულზე (**9.90** ნიშნ.)

(**დწ-2**), (**სქ**) და (**დს**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=52):

- 12 უნიტაზი და 12 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

მეოთხე სართულზე (**10.20** ნიშნ.)

(**დწ-2**), (**სქ**) და (**დს**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=44):

- 8 უნიტაზი და 8 ხელსაბანი;
- 3 შხაპი;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

მეხუთე სართულზე (**13.50** ნიშნ.)

(**დწ-2**), (**სქ**) და (**სწ-1**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=52):

- 3 უნიტაზი და 3 ხელსაბანი;
- 5 შხაპი;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

მეექვსე სართულზე (**16.80** ნიშნ.)

(**თვ-3**), (**სქ**) და (**სწ-1**) ჯგუფების დაკავებულობებისთვის (დდ=135):

- 3 უნიტაზი და 3 ხელსაბანი;
- 1 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, გორგასალის ქ. №93, (ნაკვეთის ს/კ 01.18.09.006.018), ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო კლინიკის შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე

ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე



12.12.2019 წ.



Georgia IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO

სახელი / FIRST NAME
ქართლოს
KARTLOS

გვარი / LAST NAME
მაისურაძე
MAISURADZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მ / M
პირადი No / PERSONAL No: 01021006049

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 26.02.1959
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 25.06.2026

ბარათის No / CARD No: 15ID21055

ხელმოწერა / SIGNATURE



დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შალვას ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
აღნიშნული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი
ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1987 წ. „28" x
სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ш.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. П.

Город Тбилиси „28" x 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD Adobe Photoshop Corel Draw Artlantis Studio Microsoft office
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საკოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი

1993-1994 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი“-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი“.
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: არქიტექტორი

1994-2000 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „სმარტი“
ორგანიზაციის პროფილი: კომპიუტერული გრაფიკა
პოზიცია: არქიტექტორი

2000-2004 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: არქიტექტორი

2006-2007 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „არქიტექტონიკა“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: დირექტორი

2007-2017 წწ.
ორგანიზაციის დასახელება: შპს „მოდულიონი“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: დირექტორი

2013 წ - დან
ორგანიზაციის დასახელება: შპს „ეკლექტი“
ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება
პოზიცია: დირექტორი

2017 წ - დან
საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა.
პოზიცია: ინსპექტორი